მარინე ჯინჭარაძე

ჩრდილოეთის რენესანსი – გერმანული სკოლა

აღორძინების ეპოქა ერთ-ერთი უნიკალური, ღირშესანიშნავი პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში.მისი კულტურული ცხოვრება განსაკუთრებული მრავალფეროვნებით და ინტენსიურობით გამოირჩევა,ხოლო მიმდინარე პროცესები – ევოლუციის განსაკუთრებული სისწრაფით.

ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ ჩრდილოეთ რენესანსის,კერძოდ, გერმანიის XV-XVI ს.ს. ხელოვნება,რომელსაც იტალიური აღორძინების ხელოვნებისაგან განსხვავებით საფუძვლად არ ედო რაიმე თეორიული მოძღვრება ან მეცნიერულად შემუშავებული მეთოდები,არც ანტიკური მემკვიდრეობის გავლენას განიცდიდა.

როგორც ცნობილია, XV-XVI ს.ს. მიჯნაზე გერმანიაში,ისევე როგორც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში ვითარდება შინაარსობრივად და ფორმით სრულიად ახალი ხელოვნება,რომელსაც ხელოვნებათმცოდნეობის ლიტერატურაში აღორძინების ეპოქას უწოდებენ. ახალი ხელოვნება ყალიბდება შუა ს.ს-ების მხატვრულ კულტურასთან ბრძოლაში. ჩნდება ინტერესი რეალური სამყაროსადმი და ხელოვნების უმთავრეს საგნად იქცა ადამიანი,მისი ფიზიკური და სულიერი სილამაზე.გერმანული ხელოვნება ადამიანისადმი აღტაცებული დამოკიდებულებისა და სამყაროს რეალისტურად ასახვის მიუხედავად,ყოველთვის რელიგიურ ხასიათს ატარებდა. ეს გამოწვეული იყო იმ პერიოდში რელიგიური ბრძოლის გამწვავებით. ბევრი ხელოვნების ნიმუში აღსავსე იყო რელიგიური განცდებით,უკიდურესი ექსპრესიით და მისტიურობით. მძაფრ სოციალურ ბრძოლასთან დაკავშირებულმა პოლიტიკურმა,ეკონომიკურმა და რელიგიურმა პრობლემებმა გერმანულ ხელოვნებაში ჰპოვეს ასახვა.

XV-XVIს.ს-ში ტერიტორიულად დანაწევრებულ,მაგრამ ეკონომიკურად ძლიერ გერმანიაში ვითარდება ახალი სოციალური ფენა-ბიურგერობა,რომელიც ეკონომიკური და პოლიტიკური თვითდამტკიცებისთვის იბრძვის,მაგრამ ეს შეუძლებელი ხდება სუსტი საერო ხელისუფლებისა და რომის კათოლიკური ეკლესიის ძლიერი გავლენის გამო. მაშინ ბიურგერობა თავის ბრძოლას რელიგიური საფარველით მოსავს. ინდივიდუუმის უშუალო კავშირი ღმერთთან, სამღვდელოების გარეშე.ა ეს იყო ახალი სოციალური ფენის მთავარი მოთხოვნა და მტკიცე საფუძველი.ამ პერიოდის ხელოვნება დაკავშირებული იყო მხატვართა ერთ თაობასთან,როელიც XVს-ის 70-80 წლებში დაიბადნენ (დიურერი, ჰოლბეინ უმცროსი, გრიუნევალდი,კრანახი). ჰუმანისტური იდეალების დაფუძნება,ანთროპოცენტრიზმი,სამყაროს რეალობათა აღმოჩენა,ბუნების განზოგადოებული ჩვენებისადმი სწრაფვა,ეთიკური და რელიგიური პრობლემებით დაინტერესება – აი,ის მთავარი ამოცანები,რომელსაც ეს მხატვრები თავიანთ შემოქმედებაში ეხებოდნენ.ამავე დროს მათ შემოქმედებაში ძლიერდება ინტერესი ჟანრულ-ყოფითი ელემენტებისაკენ. იკარგება წარსული რწმენა ადამიანისა და მისი გარემომცველი სამყაროს განუყოფლობის შესახებ. კონკრეტიზაციის პროცესს მივყავართ რეალური ცხოვრებისეული ეპიზოდების ჟანრულ-ყოფითი ხასიათის სურათების შექმნისკენ. მხატვრის მსოფლმხედველობა ვიწროვდება.მას უკვე

აინტერესებს ადამიანი ყოველდღიურ გარემოცვაში, კონკრეტულ ყოფით ინტერიერში. უფრო მეტი ყურადღება ექცევა გარემოს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, პეიზაჟისა და ნატურმორტის გადმოცემას. სწრაფვა კონკრეტულობისაკენ, ინდივიდუალობისაკენ და ჟანრულ-ყოფითი საწყისების გაძლიერებისაკენ – აი ის საერთო ნიშნები, რაც გერმანიის აღორძინების ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი. მნიშვნელოვანწილად ჩვენი ინტერესი გერმანული ფერწერისადმი გამოწვეულია გერმანული აღორძინების ბრწყინვალე წარმომადგენლების ალბრეხტ დიურერისა (1471-1528წ.წ.) და ლუკას კრანახის (1472-1553წ.წ.) ძალზე მრავალმხრივი და ამასთანავე ურთიერთსაპირისპირო მოვლენებით აღსავსე შემოქმედებით.

ალბრეხტ დიურერი დაიბადა 1471წ. ნიურნბერგში. მას შფოთიან დროში მოუხდა ცხოვრება. ეს იყო რეფორმაციისა და გლეხთა დიდი ომების ეპოქა. თუმცა ამ დროს გერმანიის მოწინავე ადამიანები ცდილობდნენ კათოლიკური ეკლესიით გამოწვეულ საერთო უკმაყოფილებისადმი დაეპირისპირებინათ მეცნიერული ცოდნა და ადამიანის ზნეობრივი ღირსება.რენესანსის სხვა უნივერსალური პიროვნებების მსგვსად ა. დიურერსაც გააჩნდა ის მრავალმხრივი მისწრაფებები, რაც გამოიხატა ფერწერაში(70 ფერწერული შედევრი) გრავიურაში(100 გრავიურა სპილენძზე, 350 ხეზე კვეთილი გრავიურა),თეორიულ შრომებში („ოთხი წიგნი პროპორციების შესახებ“), საინჟინრო ხელოვნებასა და მათემატიკაში. იგი ბევრს მოგზაურობდა იტალიასა და ნიდერლანდებში. კარგად იცნობდა ჰუმანიტარულ ფილოსოფიასა და ლიტერატურას, ის ერთ-ერთი უდიდესი ევროპელი გრავიორია. მის პირველ დიდ ნამუშევარს უმალვე წარმატება ხვდა წილად. ეს გახლდათ ხის დიდი გრავიურების სერია წმ. იოანეს „გამოცხადების“ დასურათებით. „მანამდე არავის ეჩვენებინა ასეთი სიძლიერითა და ძალმოსილებით განკითხვის დღის საშინელებანი,მისი მოახლოების ნიშნები და მინიშნებანი. დიურერის წარმოსახვას და მის მიმართ საზოგადოების ინტერესს,ეჭვი არაა კვებავდა ეკლესიის ინსტიტუციების მიმართ საზოგადო უკმაყოფილება, რომელიც გერანიაში შუა საუკუნეების მიწურულს მომძლავრდა და ლუთერის რეფორმით დაგვირგვინდა (გომბრიხი ე.ჰ.2012:345).

საგანგებო ინტერესს იწვევდა მის შემოქმედებაში ადამიანის სხეულის გამოსახვა იდეალური მშვენიერებით. ერთ-ერთი პირველი ამ კვლევა-ძიებისა გახლავთ გრავიურა „ადამი და ევა“, რომელსაც მხატვარმა ლათინურად წააწერა „ნიურნბერგელმა ალბრეხტ დიურერმა გააკეთა 1504 წელს“. მისი შემოქმედებაში ძალიან მნიშვნელოვანია ცნობილი ციკლი „აპოკალიფსი“ (1498წ.) რომელიც15 გრავიურას შეიცავს და წმინდა წერილის სიუჟეტებს გადმოგვცემს. „აპოკალიფსი“ ფანტასტიკური სახეებით გადმოცემული სახარების ილუსტრაციაა. ა. დიურერი ამავე დროს უდიდესი პორტრეტისტია. მისი პორტრეტებიდან გამორჩეულია მამის პორტრეტი (1490წ, უფიცის გალერეა), ქალის პორტრეტი (1506წ. სურათების გალერეა ბერლინ-დალემი), დედის პორტრეტი (1514წ, ბერლინ-დალემი), ჭაბუკის პორტრეტი (1521წ.დრეზდენის გალერეა), ერაზმ როტერდამელის პორტრეტი (1526წ. გრავიურა სპილენძზე) და სხვა პორტრეტები.ასევე ძალიან მრავალფეროვანია 1493წ.(ლუვრში), 1498წ.(პრადოში),1500წ.(მიუნხენში) დაცული მისი ავტოპორტრეტები. მისი შემოქმედების უმაღლესი მიღწევაა 1526

წ. შესრულებული კომპოზიცია „ოთხი მოციქული“,რომელიც ძლიერი პლასტიკით და ფსიქოლოგიური სიღრმით გამოირჩევა. ა.დიურერის შემოქმედებაში მკაფიოდ იგრძნობა მაღალი რენესანსისათვის დამახასიათებელი ეროვნული ტრადიციებისა და რეალური სამყაროს მრავალფეროვნების შერწყმა.

გერმანული აღორძინების კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია გერმანელი ფერმწერი და გრაფიკოსი ლუკას კრანახი. მიუხედავად იმისა,რომ მის შემოქმედებაში ყველაზე მკაფიოდ იგრძნობა გოთური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებების გამოყენება, ლუკას კრანახი ერთ-ერთი პირველი მხატვარია,რომელმაც ჭეშმარიტად რენესანსული პორტრეტი შექმნა და ამავე დროს ერთ-ერთი პირველი მხატვარია,რომლის ხელოვნებაშიც ძლიერდება ინტერესი ჟანრულ-ყოფითი ელემენტებისაკენ.ახალგაზრდობაში მან რამდენიმე წელი სამხრეთ გერმანიასა და ავსტრიაში გაატარა. მოგვიანებით კი კრანახი საქსონიის სამეფო კარზე მიღებული მხატვარი გახდა. სახელი მარტინ ლეთერთან მეგობრობამ მოუტანა. ლუთერის გავლენით რეფორმაციის იდეების პროპაგანდას ეწეოდა. ლუკას კრანახის ნაწარმოებიდან მნიშვნელოვანია „ჯვარცმა“ (1503, მიუხენი), „შესვენება ეგვიპტის გზაზე“(1504, ბერლინ-დალემის სურათების გალერეა), „წმ. ეკატერინეს საკურთხეველი“(1506, დრეზდენის სურათების გალერეა), „ვენერა და ამური“,“მადონა“ (ერმიტაჟი,პეტერბურგი). პორტრეტულ ჟანრში შესრულებული სურათებიდან უნდა გამოვყოთ 1532წ. შესრულებული მარტინ ლუთერის პორტრეტი (დრეზდენის გალერეა), რომელშიც ყოველგვარი შელამაზების გარეშეა გადმოცემული ლუთერის ულამაზო,მაგრამ ძლიერი,მამაკაცური სახე, შეჭმუხნული წარბებით და თავის ენერგიული ბრუნით.

გერმანულ ხელოვნებაში სატირული ჟანრის ფართოდ გავრცელებამ განსაზღვრა არამარტო ასეთი ფერწერული თემის გაჩენა ლუკას კრანახის შემოქმედებაში,არამედ მისი ნაწარმოებების სატირული ხასიათიც.ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის სურათები, რომლებიც ინახება პრაღის,ბუდაპეშტის და სტოკჰოლმის მუზეუმებში. ცალკე აღნიშვნის ღირსია ლუკას კრანახის სურათი „მაჭანკალი“, რომელიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ეს სურათი სამხატვრო გალერეამ 1920წ. შეიძინა მუსიკათმცოდნე ყორღანოვისგან (ყორღანაშვილი). 1922 წ. ექვთიმე თაყაიშვილმა გადარჩენის მიზნით სხვა სამუზეუმო ექსპონატებთან ერთად ეს სურათიც გაიტანა საქართველოდან საფრანგეთში. 1945წ. კი სურათი დაუბრუნდა მუზეუმს. სურათში მოცემულია კონკრეტულ გარემოცვაში მოთავსებული რთული სამფიგურიანი კომპოზიცია,სადაც ფიგურები შეერთებულია პოზებისა და ჟესტების მეშვეობით და ცხოვრებისეულ აქსესუარებს ყოფითი ელემენტები შეაქვს სურათში. ამ სურათს გ.ჩუბინაშვილი შეეხო თავის წიგნში „ლუკას კრანახი“. გ. ჩუბინაშვილი სურათს თუ არა კრანახის ფუნჯს, ყოველ შემთხვევაში მის სახელოსნოს მიაკუთვნებდა და მხატვრის შემოქმედების ადრეულ პერიოდს უკავშირებდ, მაგრამ სურათის დათარიღებას,ისევე როგორც ავტორობის პრობლემას იგი მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ სვამდა (Чубинашвили Г.Н. 1957 :25). შემდეგ სურათი სარესტავრაციოდ იმყოფებოდა სამუზეუმო ფასეულობათა კოსერვაციისა და რესტავრაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში (რესტავრატორები ა.ზაიცევი და ლ.იაკშინა), სადაც რედგე-

ნულ ფოტოსურათზე მარცხენა, მაღალ კუთხეში გამოჩნდა კრანახის ნიშანი – ფრთოსანი გველი კბილებში ბეჭდით.

როგორც მ. ლიბმანი აღნიშნავდა, 1515 წლიდან ჩნდება უამრავი დათარიღებული და ლუკას კრანახის ნიშანდასმული სურათი (Либман М.Я. 1964 :38). ეს კი მეტყველებს იმ დროისათვის უზარმაზარი სახელოსნოს არსებობაზე.თუმცა უნდა აღინიშნოს ,რომ სახელოსნოს კედლებში შეგირდები და მოსწავლეები ყოველთვის იმეორებდნენ ოსტატის კომპოზიციურ სქემებს და ძალზე იშვიათად გვევლინებოდნენ ორიგინალური გადაწყვეტილებების ავტორებად.ლუკას კრანახის ნიშნები თბილისში დაცულ სურათზე ჯერ კიდევ არაა თავად მხატვრის ავტორობის დამადასტურებელი, თუმცა ვარაუდობენ,რომ იგი ლუკას კრანახს ეკუთვნის. სურათი „მაჭანკალი“ 10-წლიანი რესტავრაციის შემდეგ დაუბრუნდა ხელოვნების მუზეუმს. 1994წ. კი შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა ის გაიტაცეს ხელოვნების მუზეუმიდან და მხოლოდ 2004წ.18 მაისს აბრუნებენ ძლიერ დაზიანებულ ფერწერულ ტილოს სამართალდამცველები მუზეუმში. შემდეგ გერმანიაში, კუნსტჰალეს სარესტავრაციო ლაბორატორიაში ჩაუტარდა სურათს რესტავრაცია და კვლავ დაბრუნდა საქართველოში.

მიუხედავათ იმისა,რომ გერმანიაში ძალზე ძლიერად ჰქონდა გადგმული ფესვები გოთურ ხელოვნებას და მისი მძლავრი ნაკადის დაძლევა არც ისე ადვილი იყო აღორძინების ეპოქის გერმანელი მხატვრებისათვის, მათ მაინც შეძლეს რელიგიური და მითოლოგიური სიუჟეტების სიუხვის მიუხედავათ, ჰუმანისტური იდეალების დაფუძნება, ,სამყაროს რეალობათა აღმოჩენა, ჟანრულ-ყოფითი ხასიათის სურათების შექმნა და ადამიანის ფიზიკური და სულიერი სილამაზის გადმოცემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) გომბრიხი ე.ჰ. „ხელოვნების ამბავი“ თბ., 2012;
2) Чубинашвили Г.Н. " Лукас Кранах" Тбилиси, 1957;
3) Либман М.Я. " Искусство Германии XV-и XVI веков",Москва,1964.

Marina Jincharadze

Northern Renaissance – German school

Summary

The theme presents the very multifaceted and at the same time full of contradictory works of the brilliant representatives of the German Renaissance, Albrecht Dürer and Lucas Kranach. Establishing humanistic ideals, anthropocentrism, discovering the realities of the world, being interested in religious problems – these are the main tasks that these artists addressed in their work.